ᲕᲔᲚᲘᲢᲠᲘ ᲛᲔᲓᲘᲐ

ᲚᲘᲒᲐ

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

15 ივლისი ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ 2010
№164(13 152) ფასი 60 თეთრი

ᲑᲐᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲯᲔᲠᲘᲐ

» გვერდი 11

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

» გვერდი 13

ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲔᲚᲡ ᲨᲝᲒᲚᲐᲜᲓᲘᲔᲚᲘ ᲨᲔᲪᲕᲚᲘᲡ

ᲑᲝᲠᲯᲚᲐᲚᲝᲡᲜᲔᲑᲘ ᲠᲘᲩᲘ ᲓᲘᲫᲡᲝᲜᲛᲐ ᲩᲐᲘᲑᲐᲠᲐ

» გვერდი 13

ᲤᲠᲔᲛ ᲬᲘᲜ ᲬᲐᲒᲕᲬᲘᲐ

ᲨᲘᲨᲐᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲘ

» გვერდი 2

ᲐᲜᲠᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ ᲬᲐᲕᲘᲓᲐ

ᲤᲠᲐᲜᲒᲘ ᲠᲔᲓ ᲒᲣᲚᲨᲘ ᲘᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲡ

» გვერდი 8

ᲓᲘᲔᲒᲝ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲔᲡᲐ

» გვერდი 16

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲚᲘᲒᲐ. ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲐᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲝ ᲔᲢᲐ�პᲘ

ᲐᲥᲢᲝᲑᲔ 2:0 ᲝᲚᲘᲛᲞᲘ

ᲛᲮᲝᲚᲝᲓ 0:2, ᲒᲐᲓᲐᲕᲣᲠᲩᲘᲗ ᲙᲘ ᲡᲘᲠᲪᲮᲕᲘᲚᲡ?!

» გვერდი 3

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲚᲘᲒᲐ. ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲐᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲝ ᲔᲢᲐ�პᲘ

ᲓᲦᲔᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲢᲝᲙᲰᲝᲚᲛᲨᲘ

» გვერდი 2,4

ᲞᲠᲝᲤᲚᲘᲒᲐᲛ 2010-11 ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲘᲜᲐ

» გვერდი 5

ქართული ფეხბურთი

ევროპის ლიგა | გეფლე (ბელგია)–დინამო (საქართველო) | პირველი მატჩი

ამათ ჩვენამდე ბევრი უკლიათ...

ჩვენი ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანი კლუბი თბილისის „დინამო“ ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩს დღეს ჩაატარებს. „დინამოს“ მეტოქე ბელგიური გამორჩეული შვედური „გეფლეა“, 128 (!) წლიანი ისტორიის მოუხედავად, „ადგილობრივი მასშტაბის“ ტიტულებითაც რომ ვერ მოიწონებს თავს. თავად გაბედავდეთ: შვედეთის უმაღლეს ლიგაში („ალსვენსკა დივიზიონი“) „გეფლე“ მხოლოდ მეათე სეზონია ასპარეზობს. თანაც, თავდაპირველად 1933-34 წლებში მონაწილეობდა, მერე — 1983-84 წლებში, 2005 წლიდან კი სტაბილურად „ახერხებს“ და შვედეთის უძლიერეს ლიგაში ადგილს ინარჩუნებს. საუკეთესო შედეგი კი... ჩემპიონატში დაკავებული მეცხრე ადგილი და შვედეთის თასის ფინალში გასვლა, — „გეფლე“ ორივე ამ შედეგს 2006 წელს მიაღწია. „დინამოს“ დღევანდელი მეტოქე შვედეთის ჩემპიონატში ამჟამად მეათე-მეთორმეტე ადგილებს იყოფს „დიურგარდენთან“ და „ჰეკ�“ ერთად — გუნდს 16 ქულა აქვს (ტურნირის სხვაობა: 13-16). „გეფლეს“ შვედეთში არაფრისთვის მოუღწევია და ვანი ევროპული საბუკმეიკერო კანტორები „ბეკარაზე“ ამკარაზე უპირატესობას „გეფლეს“ ანიჭებენ. თუმცა, რამდენი შემთხვევა ყოფილა, როცა ბუკმეიკერთა პროგნოზები არ გამართლებულა? თანაც, პროვინციული ქალაქის არაფრი გამორჩეული გუნდი „გეფლე“, ისევე როგორც ფარერეზის „რუნავიკი“, თბილისის „დინამოსაც“ მშობლიურ სტადიონზე (7300-იან „სტრიიმვალენზე“) კი არა, არამედ ევროპული მასშტაბებით ცნობილ სტოკჰოლმის „რასუნდაზე“ უმასპინძლებს. ეს სტადიონი შვედეთის ეროვნული ნაკრებისა და ამ ქვეყნის ერთ-ერთი ნამყანი კლუბის აიე-ის სახლია არენა და 35000 მაყურებელს იტევს; თუმცა, ვეჭვობთ, რომ სტადიონი სანახეურადაც შეივსოს. შვედეთის ჩემპიონატში უკვე თვეა, რაც შესვენებაა და „დინამოს“ დღევანდელმა მეტოქემ ევროტურნირების იმ ორი მატჩის გარდა, კიდევ ერთი შეხვედრის ჩაბარება მოსაწერო. კერძოდ, კვირას, შვედეთის თასის მეოთხეფინალში „კალმარს“ ეთამაშა და დამატებით დროში დამარცხდა (1:3). არადა, ამ შეხვედრაში ანგარიში „გეფლემ“ გახსნა: მე-16 წუთზე გოლი 23 წლის ნახევარმცველმა **იონას ლანტომ** გაიტანა. „კალმარმა“ პირველ ტაიმშივე შეძლო ანგარიშის გათანაბრება და ძირითადი დროც ფრედ (1:1) დამთავრდა. აი, დამატებითში კი, როგორც უკვე ალინიშნეთ, „კალმარმა“ ორი გოლი გაიტანა და ნახევარფინალშიც გავიდა. ამ მატჩში „გეფლეს“ მთავარმა მწვრთნელმა **პერ ოლსონმა** ასეთი შემადგენლობა დაადგინა: **ჰედვალი — სნნაბარრ, ბერნარდსონი, ტერონნი, იავო** (78. **პორტინი**) — **ჩიბსა, პანსონი** (71. **ოოპაგენი**), **დალბერგი, ლანტო — ბერგრენი** (65. **ორლოვი**), **გერნდტი**. აღსანიშნაია, რომ „გეფლეს“ მთავარმა მწვრთნელმა პერ ოლსონმა ბოლო მატჩთან („რუნავიკთან“ განმეორებითი შეხვედრა) შედარებით თავის გუნდში რამდენიმე ცვლილება მოახდინა: ძირითადი მეკარის (**მათიას ჰუფოსონი**) ნაცვლად **ემილ ჰედვალმა** ითამაშა; უბრალოდ, მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ რაც დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთი არსებობს, „დინამომ“ ევროტურნირებზე უკვე 74 მატჩი ჩაატარა! სხვათა შორის, შედეგი უროგო სულაც კი არის: 31 მოგება, 10 ფრე და 33 ნაგება (ტურნიის სხვაობა: 94-118). ამ ყველაფრის მოუხედავად, დღევანდელ მატჩში აქკარა ფავორიტად „გეფლეე“ მოიაზრება; ყოველ შემთხვევაში, ნამყანი ლეგიონერის ვინ-ვინ-ობა: **ომარ იავოს** (გამძე, **გიორგი თოქთოურმანიძე, რობერტინიო**; მსპმაესსმეულები: **მაიე ვანაძე, ზვიად მეტრეველი**. „ახალი სახე“ კი 23 ნლის **ნიკოლოზ ფირტხალავა,** ნიჭიერი ნახევარმცველი, რომელიც გაუთავებელმა ტრამვებმა ამ მდგომარეობამდე მიიყვანა, საეროოდ, საფეხბურთო კარიერის დასრულება რომ ჰქონდა გადაწყვეტილი. საბედნიეროდ, ახალგაზრდა ფეხბურთელმა გადაწყვეტილება შეცვალა და კვლავაც მშობლიურ გუნდში დარჩა — ფირტხალავას ხომ სხვაგან არსად უთამაშია, ისე, როგორც „დინამოს“ სამ „სტატიან“ წევრს — **გიორგი ლორია, მაიე ვანაძეა** და **გულვერდ თომაშვილის.** აღსანიშნაია, რომ ფირტხალავა, ლორია, ვანაძე და თომაშვილი „დინამოში“ 2004 ნლიდან თამაშობენ და როგორც უკვე ალინიშნეთ, თავიანთი კარიერა მხოლოდ ჩვენს ყველაზე ტიტულოვან კლუბში აქვთ გატარებული.

დაბოლოს, შეგახსენებთ, რომ „გეფლესა“ და „დინამოს“ მატჩი დღეს, ჩვენი დროით 21 საათზე დაინყება და ამ შეხვედრას ხორვატი არბიტრი **დამირ ბატინინი** განსჯის.

გია ტუსაშვილი

გეფლეს განელი ლეგიონერი იუსიფ ჩიბსა

ფიფას რეიტინგი

კამერუნთან ნათამაშემმა ფრემ საქართველო ფიფას რეიტინგში 9 საფეხურით დაანინაურა

9 ადგილით დაკნინაურდით

ევროპაში 46-ე, პოსტსაბჭოეთში მე-11

ფიფა ყოველთვიურად აქვეყნებს რეიტინგს, მაგრამ ამ პერიოდულობაში ზაფხულობით ყოველთვის არის პაუზა. ამჯერადაც ასე იყო, 26 მაისის შემდეგ, ფიფამ გუშინ გამოაქვეყნა ახალი რეიტინგი. შეგახსენებთ, რომ ჩვენმა ნაკრებმა, ბოლოს 25 მაისს, კამერუნთან ავსტრალიაში გამართა ამხანაგური შეხვედრა. შესაბამისად, მომდევნო დღეს გამოქვეყნებულ რეიტინგში, კამერუნელებთან უფალო თამაში გათვალისწინებული არ იყო. ახალ რეიტინგში კი ეს შედეგიც შეტანილია და პროგრესიც აშკარა, საქართველომ 9 ადგილით აინაცვლა. მართალია, ისევ ასეულს მიღმა ვართ, მაგრამ 120-ე ადგილის ნაცვლად, ამჯერად უკვე 111-ე საფეხურზე ვართ. საგულისხმოა ისიც, რომ კამერუნმა ერთბაშად 21 საფეხურით დაიმო პოზიცია.

სამხრეთ აფრიკაში მსოფლიოს ჩემპიონობა დასრულდა და ახალ რეიტინგში მუნდიალის შედეგებიც აისახა. მსოფლიოს ახალი ჩემპიონი ესპანეთი რეიტინგს სათავეში ჩაუდგა, ფინალისტი ჰოლანდია კი მეორე ადგილზეა.

მეტი თვალსაჩინოებისათვის ფიფას რეიტინგის მონაწილე ათეულსა და ჩვენი ჯგუფის მეტოქეების პოზიციებს გადავავლოთ თვალი, მერე კი სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებზე გავამახვილებთ ყურადღებას.

ქვეყანა	ქულა
1. (+1) ესპანეთი	1883
2. (+2) ჰოლანდია	1659
3. (-2) გერმანია	1536
4. (+2) ბრაზილია	1464
5. (+2) არგენტინა	1289
6. (+10) ურუგვაი	1152
7. (+1) ინგლისი	1125
8. (-5) პორტუგალია	1062
9. (+3) ეგვიპტე	1053
10. (+8) ჩილე	988
12. (+1) საბერძნეთი	975
15. (-3) ხორვატია	968
37. (-11) ისრაელი	733
50. (-4) ლატვია	579
63. (+4) კვიპროსი	523
111. (+9) საქართველო	237
152. (+5) მალტა	105

ქვეყანა	ქულა
17. (-6) რუსეთი	956
25. (-2) უკრაინა	870
50. (-4) ლატვია	579
52. (-3) ლიტვა	571
77. (+5) ბელარუსი	403
87. (+7) უზბეკეთი	352
89. (0) მოლდოვა	350
95. (+4) ესტონეთი	321
96. (+4) სომხეთი	318
106. (+3) აზერბაიჯანი	266
111. (+9) საქართველო	237
126. (+3) ბელარუსი	184
136. (+3) თურქმენეთი	150
137. (-2) ტაჯიკეთი	144
165. (+3) ყირგიზეთი	74

დავით ცაბაძე

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში** ფოტო: **ალექსანდრე კოტრიაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთის ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), აროჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

მედია პოლიტრის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

დამფუძნებელი და გამოცემელი ჟურ. გამოცემელობა ლელო

გამოიცემა ყოველ ოთხშაბათ, ბარამ კვირისა

მისამართი: **ოოსეფიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435** INDEX, რეკლამა: **37 78 07**

რედაქციას,თან ფუფუნებითელად ბაზეთის ,ეთვნილი მასალებისა და ფოტოები, სხვა ბეჭდვითი და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

● ჩემპიონთა ლიგა. II საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი

ვაშა, მხოლოდ 0:2, მაგრამ გადავურჩით კი სიცხვილს?!

14.07. აქტობე. ცენტრალური
1 500 მაყურებელი

აქტობე ყაზახეთი	2
ოლიმპი საქართველო	0

1.0 სმაკოი (40 პენ.), 2.0 სმაკოი (57).

აქტობე: სიდელნიკოვი –ბონო, სმაკოიკი, ბ. ბაგალ –ეფსმმბა (82. დარაბაგინ), კარპოვიჩი, გოლოვსკოი (74. ტლეშევი), ნაირულინი, ავერჩენკო –ჰეირინი (88. ხოხლოვი).

ალმასტარიტელები: ბოიჩენკო, დოსმაგამბეტოვი, მოკროუსი, სემენოვი.

ოლიმპი: ბედიაშვილი - ლონნდაძე, კვახაძე, ქემოკლიძე, რეხვიაშვილი – ქედია (56. დოროროვლესკი), რაზმაძე, ჭელიძე (86. დოლთაძე), ბოლქვაძე (75. ხიდეშელი), ეგნაძე - მოდებაძე.

ალმასტარიტელები: ბათიაშვილი, გიგაური.

გაფრთხილებები: ლონნდაძე (40).

არბიტრი: ბოულენტ ილდირიმი (თურქეთი)

"აქტობეზე" ყაზახეთის წლევანდელ ჩემპიონატში არც ისე დამაჯერებლად გამოდის, 18 მატჩში უკვე ხუთჯერ დამარცხდა, რაც ჩემპიონისთვის ცუდი მაჩვენებელია. სახლში "ლოკომოტივთან" ნაგების შემდეგ, გუფშმატკოვარმა ვეღარ მოიმიმინა და სტადიონზე არეულობა მოაწყო. ანუ, იმის თქმა გვსურს, რომ "ოლიმპის" გუშინდელი მეტოქის რიგებში დალაგებული ვითარება არ გახლდათ და მისი ხელმძღვანელობა გუფშმატკიერების ნინაშე რეაბილიტაციაზე ფიქრობდა.

სამწუხაროდ, საქართველოს ჩემპიონმა "აქტობეს" რეაბილიტაციის საშუალება მისცა. „აქტობეს" მთავარი მწვრთნელი **ვლადიმერ მუხანოვი** სიფრთხილეს იჩენდა, ყაზახური კლუბები ქართველების მსგავსი ტრადიციებითა და წარმატებებით ვერ დაიკვეხნიანო, მაგრამ ყაზახების კაპიტანი **სამატ სმაკოვი** მარილი გამოდგა, ქართველების ყველა ძლიერი მოთამაშე უცხოოთში გამოდის და ეს ეტაპი უნდა გავიაროთო.

ყაზახეთში "სპორტ-ექსპრესის" კორესპონდენტმა **ერიკ სადიკოვმა** მატჩამდე მომხდარი სასალონო ამბავი გვიამბო: რუსთაველ ფეხბურთელებს ყაზახი ჟურნალისტი რომ დაეკითხენ, მათ **დენის დობროროლსკიზე** გაიმეორეს ხუთი ხელი, ჩვენი უკრაინელი ლეგიონერი და "ოლიმპის" კაპიტანიათ.

დენისს ინტერვიუ რამაოთვეს და ყველაზან კაპიტნად და ლეგიონერად დაასახელეს. სინამდვილეში, აფხაზეთში დაბადებული და დვენილობაში თბილისში გადმოხვეწილი დობროროვლკი, აბა, რა ლეგიონერია.

„ოლიმპს" ყაზახეთში თან ახლდა ქვემო ქართლისა და რუსთავის ხელმძღვანელთა 25-კაციანი ჯგუფი.

შეპირებული პირდაპირი რეკორტაჟი ინტერნეტ-ტელეეფეზით ვერ ვიხილეთ და უეფას ოფიციალური ვებგვერდისა და ყაზახური "სპორტსის" ინფორმაციას დავეყრდნეთ.

"აქტობეს" საუკეთესო შემადგენლობით ვერ თამაშობდა, რადგან ერთი ერთი ლიდერი **ელიმ ეჯნიასრიევი** გაასულ ევროსეზონში ბრმენის "ვერდერთან" მოედნიდან გაადევეს და დისკვალიფიციას იხდიდა. მასპინძლებს ტრავმირებული **იური ლოგვინენკო** და **ანტონ ჩიჩულინი** აკლდათ.

კენტიასარიეთს არყოფნაში, ვლადიმერ მუხანოვმა დაცვა გადაანაყო და მარჯვენა ფლანგზე **ალენ ბონო** ათამაშა, მარცხნივ კი - **პეტრ ბაალო**.

მოედანზე არც ყაზახეთის ჩემპიონატის გასული პირველობის საუკეთესო ბომბარდირი **მურატ ტლეშევიც** არ ყოფილა, მოუნავი მის ნაცვლად ახალწვეული **ივან პერჩინს** ენდო.

თემურ მახარაძის "ოლიმპმა" კი შეხვედრა 4-2-3-1 განლაგებით დაიწყო: კარში კაპიტანის სამკლაკვეთი **გია ბედიაშვილი** იდგა, დაცვის ფლანგებზე **თემურ ლონნდაძე** (მარჯვენე) და **გიორგი რეხვიაშვილი** (მარცხნე), ცენტრში **ლევანი კვახაძე** და **რეზო ქემოკლიძე**. ნახევრადაცვის ფლანგებზე **გიორგი ჭედია** (მარჯვენე) და **რეზო ეგნაძე** (მარცხნე) განლაგდნენ, საყრდენებად - **ლუკა რაზმაძე, დათო ბოლქვაძე** ფოდნა ნინ ნანეული **გიორგი ჭელიძე**. თავდასხმაში მახარაძემ მხოლოდ **ირაკლი მოდებაძე** განაწესა.

მატჩი ქართველების შეტევით დაიწყო. მი-3 წუთზე დათო ბოლქვაძემ ბურთი საჯარიმოში 30 მეტრიდან ჩაკიდა და მეკარე **ანდრეი სიდელნიკოვი** ბურთს ოლთად დაეუფლა.

34-ე წუთი: საკუთარ საჯარიმოსთან **ანდრეი კარპოვიჩმა ირაკლი მოდებაძესთან** ოუხეშა, მაგრამ რუსთაველებმა საჯარიმოში 30 მეტრიდან ჩაკიდა და მეკარე **ანდრეი სიდელნიკოვი** ბურთს ოლთად დაეუფლა.

ამ-15 წუთი: საკუთარ საჯარიმოსთან **ანდრეი კარპოვიჩმა ირაკლი მოდებაძესთან** ოუხეშა, მაგრამ რუსთაველებმა საჯარიმოში უხეიროდ გაითამაშეს.

თავიდან ყაზახების ერთფეროვან შეტევებს ქართველი მცველები იოლად იგერიებენ, შემდეგ კი რუსთაველთა კართან ვითარება დაიძაბა, ყაზახების უპირატესობა გამოიკვეთა და სახიფათოდ უტევენდნენ: 21-ე წუთზე **ტიტი ესომბამ** მარჯვენა ფლანგიდან ბურთი საჯარიმოში ჩაკიდა, **ივან პერჩინმა** ბურთი კარისკენ ნახტომში გააგზავნა, მაგრამ მისი თავური კარს ასცდა.

ერთ წუთში საკმაოდ ხელსაყრელი პოზიციიდან ყაზახების ნახევარმცველმა **ვვგენი ავერჩენკომ** უხეიროდ დაარტყა.

27-ე წუთზე **პეტრ ბალდო** საჯარიმოში შეიჭრა და პერჩინი მოძებნა – ამ უკანასკნელმა მცველის ეკი დაასხრო, მაგრამ სიზუსტემ უმტყუნა.

„აქტობეს" უპირატესობა უფრო და უფრო თვალსაჩინო ხდებოდა: 37-ე წუთზე საჯარიმოში უკვე **კონსტანტინე გოლოვსკოო** შეიჭრა და ორ მცველს გასცდა, მაგრამ მახვილი ეკთხიდან ბურთი კარს აიცილა.

„ოლიმპმა" კონტრშეტევა 32-ე წუთზე განაბორიკეული – ამჯერად არაზუსტად **დავით ბოლქვაძემ** ითამაშა.

35-ე წუთზე კვლავ გოლოვსკოიმ იაქტიური, რომლის კუთხურის შემდეგაც, პერჩინის თავური დარტყმა „ოლიმპის" კარს ასცდა.

38-ე წუთზე გოლოვსკოიმ კარს ესროლა ჩანოდენის შემდეგ შეუტანა.

ყაზახების შეტევებში შედეგი მანც გამოიღო: მე-40 წუთზე აქტობელი **მარატ ხაირულინი** საჯარიმოში **თემურ ლონნდაძემ** ნააქცია და თურქმა არბიტრმა **ბოულენტ ილდირიმმა** თერმიტემატერიანი საჯარიმო დანიშნა. მასპინძელთა კაპიტანმა **სამატ სმაკოვმა** ბურთი დაბალ კუთხეში დაარტყა, ბედიაშვილმა მიმართულება გამოიცნო, მაგრამ თავისიანები ვერ დადაარჩინა – 1:0.

„ოლიმპი" გამოვიცხლდა და ტაიმის მიწურულს „აქტობის" კართან სახიფათო მომენტი **რეზო ეგნაძემ** და **ბოლქვაძემ** შექმნეს.

მეორე ტაიმი რუსთაველებმა აგრესიოოლად დაიწყეს და **ვლადიმერ მუხანოვის** შეგირდებს სა.კუთარ საჯარიმოში გადასცეს საშუალება არ აძლევდნენ.

48-ე წუთზე „ოლიმპმა" მშვენიერი შეტევა განავითარა, რომლის დაგვირგვინებას თავური დარტყმით **ირაკლი მოდებაძე** ცდილობდა - სმაკოვმა ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა და „აქტობე" გადაარჩინა.

ყაზახებმა მნიავე კონტრშეტევა განახორციელეს და უმტკივნეულო ვითარებაში მეორე გოლი მივიღეთ. ეს 53-ე წუთზე მოხდა: შეტევა კვლავ ღონნდაძემ შეაჩერა, თუმცა, ჯარიმა კუთხურის ალამთან ახლოს დაინიშნა: საჯარიმო სმაკოვმა ზუსტად შეასროლა და „აქტობეს" უპირატესობა უფრო სოლიდური გახადა - 2:0.

გოლის შემდეგ მახარაძემ მარჯვენა ფლანგეული **გიორგი ჭედია** საყრდენი **დენის დობროროლსკით** შეცვალა და მოედნის ცენტრში დააყენა, **გიორგი ჭელიძე** კი მარჯვენა ფლანგზე ეგზავნა.

აქედან აშკარად გამოჩნდა: „ოლიმპის" მთავარი მწვრთნელის საფიქრალი არა ანგარიშის გათანაბრება, არამედ მასპინძელთა შეტევების შეჩერება და უფრო დიდი ანგარიშით ნაგების თავიდან აცილება გახდდათ. ეერეკ გაამტკიცებენ, 16-კაციანი განაცხადის მქონე გუნდს მეტი რა მოეთხოვება?

თამაში ორმხრივ შეტევებსა და საკმაოდ ძაძაბული ვითარებაში გაგრძელდა. „ოლიმპის" შეტევა მე-60 წუთზე ღონღაძის არაზუსტი დარტყმით დასრულდა.

66-ე წუთზე მარჯვენა ფლანგიდან ყაზახებში ერთ-ერთმა ყველაზე აქტიურმა ესომბამ ჩაკიდა, ავერჩენკომ ბურთი კარისკენ შეუჩერებლივ გააგზავნა, მაგრამ მცველი ფეხებში ჩაუხტა და სტუმრები გადაარჩინა.

ქართველებმა ბოლოს აქტიურად შეუტიეს: 84-ე წუთზე მშვენიერი მოენტები ჰქონდა **ირაკლი მოდებაძეს**, რომელიც საჯარიმოში შეიჭრა და დაარტყა, მაგრამ მცველმა ბურთი კუთხურზე მოიგერია და ამჯერად „აქტობე" გადარჩა.

79-ე წუთზე მონინაალდეგეებმა სახიფათო მომენტები გაიკვალეს: **ლევანი კვახაძის** საჯარიმო (მან სულ ხუთჯერ სცადა ჯარიმით კარის აღება) „აქტობეს" კარს მცირე მანძილით ასცდა, სამპასუხო შეტევა კი **მურატ ტლეშევის** არაზუსტმა გასროლით დასრულდა.

მთავარი მსაჯის მიერ დამატებულ დროში „ოლიმპი" ორჯერ გადაარჩა: ხაირულინის მშვენიერი დარტყმა **გია ბედიაშვილმა** მოიგერია, ტლეშევს კი მცველი გადაეფარა და უფრო დიდი „სიამოვნება" და სირცხეილი თავიდან დაკავალა.

თუმცა, აგვაცილა, კი? ბოლო სამი წელია ქართული კლუბები მესამეხარისხოვანთ სადებბრთო ქვეყნის, ყაზახეთის გუნდებთან მარცხდებიან და მეტი სირცხეილი რა გვინდა? უკვე ფარერების, სან-მარინოს, ლუქსემბურგის დონეზე დადვეცი - ეესა ქართული ფეხბურთი და მისი „ამბიცია"...

ზაფხულში „აქტობიდან" სამი ფეხბურთელი გაუშვეს, სამიც ახალი მიიყვანეს და დარდოდნენ, გუნდი არ აგვერიოოს.

საინტერესოა, რას ფიქრობდნენ „ოლიმპში", როდესაც სარემპინო შემადგენლობიდან 14 ფეხბურთელს ხელი დაუქნიეს? ამის გათვალისწინებით, თემურ მახარაძის გუნდმა ყაზახეთში კიდევ კარგი შედეგი აჩვენა. თუმცა, ვეჭვიობ, ნაგება ისევ მის არ დაუბარილ.

მერაბ მამულაშვილი

● სფფ

დღეს ლოკომოტივზე ყრილობაა

სიურპრიზი მზეზე: ყრილობა პირდაპირ ეთერში

ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციიდან ცნობილი გახდა, რომ დღეს, 15 ივლისს ფედერაციის XVIII ყრილობა გაიმართება.

დღის ნესრიგში 11 საკითხია. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი 2010 წლის განვლილი პერიოდის 6 თვის ანგარიშია, რომელსაც სფფ-ის პრეზიდენტი **ზვიად სიჭინავა** წარადგენს.

ზვიად სიჭინავამ ერთი კვირის წინ "ლელოსთან" ინტერვიუში განაცხადა, რომ არჩევიდან ექვს თვეში განხორციელებული პროექტებისა და განეული საქმიანობის შესახებ, საფეხბურთო საზოგადოებას ანგარიშს ჩაბარებდა.

ასე რომ, წინასწარი ინფორმაციით, ყრილობა სამუშაო და საანგარიშო ხასიათისაა. თუმცა, პატარ-პატარა სიახლეები მაინც გველის...

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სიახლე ისაა, რომ მაყურებელი ფედერაციის ყრილობის ნანილს ტელეკამპანია „ეზოს" პირდაპირ ეთერში ინილავს - ეს ალბათ, გაინტერესებთ, რატომ ჩამოპყავი ფიგი „ბანიკს" – ლიჩკა ოსტროვუელი კლუბის ეერნრალური მენეჯერია. იმასაც ეკტყვით, რომ ამ თანამდებობაზე დანიშვნამდე იგი ნლების განმავლობაში იყო ჩეხეთის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტი.

ლევან ჯანეიშვილი

ვერნერ ლიჩკა

ბანკის მწვრთნელის პრესკონფერენციისა და გუნდის ვარჯიშის შესახებ მასალა იხილეთ მე-4 გვერდზე

● ეროვნული ჩემპიონატი | სამგზავრისი

ფრე ზღვისპირულ დერბიში

კოლხეთმა სტურუაც დაიმატა და მახვილაძეც

უმაღლეს ლიგაში დაბრუნებული ფოთის „კოლხეთი" ახალი სეზონისთვის მზადებას აგრძელებს. **ბესიკ შეროზიას** გუნდმა მორიგი საკონტროლო მატჩი გამართა. ზღვისპირეთ დერბიში „კოლხეთი" „ბათუმს" გავეჯიბრნენ და შეხვედრა 1:1 დასრულდა.

სანამ ამ მატჩზე მოგითხრობდეთ, შეროზიას გუნდში მომხდარი სიახლეები უნდა გაგაცნოთ. „კოლხეთმა" უკვე დაიმატა მეკარე **ზვიად სტურუა**. ცნობისათვის, სტურუას გასული სეზონი ბოლნისის „სიონში" დაინყო, მერე „გაგრაში" გადავიდა, მაგრამ უმეტესად არ უნევდა თამაში და გუნდის შეცვლა გადაწყვეტილი ჰქონდა. 32 ნლის სტურუა ერთგული ჩემპიონატში ცნობილი ფიგურაა და ნესით თეთრფეხა გუნდსაც დიდად უნდა ნაადგეს.

სტურუას გარდა, „კოლხეთს" შეუერთდა მცველი **მიხეილ მახვილაძე**, რომელიც ბოლოს ბოლნისის „სიონსა" და აზერბაიჯანში, ზაქათალის „სიმურგში" გამოდიოდა.

დავით ცაბაძე

● სპორტი

საბჭოეთის რევანში ჯორჯიაზე სურს

„ბანიკში" ერთად თბილისში **ვერნერ ლიჩკა** ჩამოვიდა, ყოფილი ჩეხოსლოვაკიის ნაკრების ნევრი, რომელიც საქართველოს დედაქალაქში პირველად არაა. ამ თბილისში 29 ნლის ნინ ჩაგარებული მატჩი გიახსენა და აბსოლუტურად უეჭველდომად დაასახელა ოთხი ქართველი ფეხბურთელის გვარი.

"1981 ნელს თბილისში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი გაიმართა სსრკ-ისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრებებს შორის. ის შეხვედრა საბჭოთა კავშირმა 2:1 გაიმარჯვა და დუბლი შენგვლიან შესარულა. მის გარდა, მატჩში მონაწილეობა კიდევ სამმა შესარიმაგმა ქართველმა - ჩიკაძემ, სულაკაკელიძემ და დარსელიამ მიიღო. მაშინ სსრკ-ს ძალიან ძლიერი გუნდი ჰყავდა და დამაბიჯურებულადაც გაიმარჯვა.

მოხარული ვარ, რომ თბილისში ხელმეორედ ჩამოსვლის შესაძლებლობა მომეცა. ძველ მოგონებებში გადავეშვი და სასიამოვნო განწყობაზე დავდექი. "ეიტ ჯორჯიასთან" საინტერესო თამაში ველი და ეიმედოვნებენ, რომ საქართველოდან ახლა მაინც ნავალ გამარჯვებული", – გვითხრა ლიჩკამ.

ვიტ ჯორჯია-ბანიკი

ევროპის ლიგა. II საკვალიფიკაციო ეტაპი

გელა გოგელაური:

ცამდე მართალი ვარ, ასე რომ, დასამალი არაფერი მაქვს

"ვიტ ჯორჯიას" გუშინდელ ვარჯიშზე გიორგი ბერიაშვილთან დაკავშირებულ კონფლიქტზე საუბარს ვერ აკეცდებოდით, მით უფრო, რომ ფეხბურთელისან განსხვავებით, მწვრთნელმა ინციდენტზე საუბარი ისურვა. გელა გოგელაურს უკარნაში მომხდარის გარდა, ცხადია, "ბანიკთან" მაგრზეც ველაპარაკეთ.

- ყოველთვის ისმის მომრე ვარ, რომ საზოგადოების სამსჯავროზე ყველაზე უხერხული სიტუაციებიც გამოვიტანოთ. ცამდე მართალი ვარ, ასე რომ, დასამალი არაფერი მაქვს. თუ ვინმე დაამტკიცებს, რომ გელა გოგელაურს ოდესმე უმსჯავსო საქციელი ჩაუდენია, ფეხბურთიდან იმ დღესვე ნავალ.

- კეთილი, მაშინ გვიამბეთ, როგორ და რატომ მოხდა ეს ინციდენტი?

- თავიდან დავიწყებ, ანუ ჯერ უკარნაულ შეკრებაზე ნასვლამდე მომხდარ ამბავს გიამბობთ. ბერიაშვილმა მეც და კლუბის ხელმძღვანელობასაც გვითხრა, რომ "ვიტ ჯორჯიიდან" ნასვლა სურდა. ამის შემდეგ მან რუსთაველ "ოლიმპთან" აწარმოა მოლაპარაკებები, მაგრამ უკარნაში მაინც ნავიყვანეთ. იგი გუნდში საკუთარი როლით უკმაყოფილო იყო, არადა, ძირითად შემადგენლობაში თამამს სწორედ მას შემდეგ მოუხმარა, რაც "ვიტ ჯორჯიას" მთავარ მწვთნელად დანიშნეს. თუმცა გიორგასაც და ყველა ფეხბურთელსაც ყოველთვის ვეუბნებოდი, რომ არც ძირითადი ჭარხდათ გარანტირებული და არც 18-კაციან განაცხადში მოხვედრა. ეს ლიბერო სიტყვები არ იყო, ჩემი მწვრთნელობისას თითოეულ მოთამაშეს ყოველდღიურად უნევს საკუთარი შესაძლებლობების დამტკიცება. თუმცა გიორგის საფეხბურთო მონაცემებში ეჭვი არასოდეს შემპარია და ახლაც ვაცანადებ, რომ იგი საკმაოდ კარგი თავდასმხმელია.

ამის მოუხდავად, რომ თვალი ნასვლა-ზე ეჭირა, უკარნაში მას სამაგალითამაშო დრო მივეცი – ერთი მატჩი შეცვლაზე ვთამაშე, მეორე კი სრულად. ბოლო საკონტროლო მეხვედრა "კრიმტეალიკას" ნინაალდეგ ჩავატარეთ. მატჩის მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როცა ბერიაშვილს ვუხმე და მოეფიზნე შესვლა დავავალე. ამის შემდეგ მოხდარ ამბავს კი საიდუმლად დავტოვებ – რაც შემდეგ მოხდა, ის ყველამ იხილა – ბერიაშვილმა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მომაყენა.

ძალიან წმდება გული, ჩვენი ურთიერთობა ასე რომ დასრულდა. არადა, მანამდე ერთმანეთისა ყოველთვის კარგად გვესმოდა. აი, ესაა, რისი თქმაც მსურდა ამ ამბავთან დაკავშირებით.

არც იმაზე ვთქვ ნანყენი, რომ ჩემთვის არასასიამოვნო კადრები პრესით, ტელევიზიითა თუ ინტერნეტით გავრცელდა. გუდუშმატკივარს უფლება აქვს, მსგავსი ფაქტების შესახებ იცოდეს, მაგრამ ერთია სპორტული ტელეგადაცემა და მეორე – საინფორმაციო გამოშვება. ჩემი აზრით, იქ ამ თემის კიდევ ერთხელ ნამოგზავნებაა უკვე მეტისმეტი იყო. "ვიტ ჯორჯიას" ეროვასპარეზზე მნიშვნელოვანი მატჩი ელის და გუნდი მთლიანად ამაზე უნდა იყოს კონცენტრირებული.

- რა შესძინა "ვიტ ჯორჯიას" უკარნისელმა შეკრებამ?

- შეკრება ნაყოფიერი გამოდგა, სანგრონელი პროგრამა სრულად შეგასრულეთ და დღეისთვის გუნდი კარგ კონდიციებშია. ერთი ეგაა, რომ თბილისურმა ხვატმა შეგვიშალა ხელი, მაგრამ არა შეგასხენებთ, "ვიტ ჯორჯია"-"ბანიკი" დღეს ეროვნულ სტადიონზე, საღამოს 6 საათზე დაინყება და ბიღეთი 3 ლარი ღირება.

მივუბრუნდეთ ხანმოკლე პრესკონფერენციას, სადაც ჩეხი ჟურნალისტები სჭარობდნენ. "ბანიკს" ეხრა მედიელი ჩამოჰყვა, რომელთაც "ბანიკის" დამრიგებლისგან უპირველესად, ის აინტერესებდათ, რა ინფორმაციას ფლობდნენ ისინი "ვიტ ჯორჯიაზე". ბუნებრივია, კუბეკის კითხვები ქართველმა ჟურნალისტებმაც დავუსვიათ.

- ენახეთ "ვიტ ჯორჯიას" მიერ საქართველოს ჩემპიონატა და თასზე ჩატარებული რამდენიმე მატჩის ვიდეოჩანაწერი და დავრწმუნდი, რომ საქმე გვაქვს სწრაფი და ტექნიკური ფეხბურთის მოთამაშე გუნდთან. ისიც ვიცი, რომ სუფთ ცოტა წსნის ნინ "ვიტ ჯორჯია" რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა, მაგრამ არა მგონია, ამის გამო გუნდის ბრძოლუნენარინობა დაეცეფულიყო.

- ვის მიიწვეთ წყვილი ფავორიტად?

- დარწმუნებული ვარ, რომ ნინ ორი რთული მატჩი გველის, მაგრამ ფავორიტი მაინც "ბანიკია" და ვალდებულნი ვართ, მომდევნო ეტაპზე თამამის უფლება მოვიპოვოთ.

- თბილისურ სიცხე ხელს ხომ არ შეგიშლით?

- არა, რადგან მსგავს ტემპერატურას უკვე შეჩვეულები ვართ. როცა ავსტრიაში საკონტროლო შეხვედრა ჩავატარეთ, იქაც ისეთივე სიცხე იყო, ანალოგიურ ტემპერატურაზე ვითამაშეთ სლოვაკურ "ფუჯასთან" ამხანაგურ მატჩში, ასე რომ, თბილისში სიცხე ხელს ვერ შეგიშლის. თანაც, ჩვენი ბიჭები ეროვნულ ნაკრებში ბევრ ასეთ ამბავს ალბათ არ ახსოვს და სასტუმროში გაგვრლიდებით.

- ბოლო კვირაში ორი საკონტროლო მატჩი ჩაატარეთ. ეს გუნდის გადაღლას ხომ არ გამოიწვევს?

- გადაღლაზე ლაპარაკი ზედმეტია, რადგან სეზონი ახალი დაწყებულია და ფეხბურთელები ბესანიშნაც კონდიციებში არიან.

ლევან ჯანელაშვილი

ალექსანდრე კოტოროშვილის ფოტოები

ტომაშ ტრუხა:

ფავორიტი ჩვენ ვართ, თქვენი კოზირი კლიმატია

თასის მლობელი „ვიტ ჯორჯია" ევროპის ლიგას მეორე საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაინყებს. ვეტერნარნთა მეტოქე ჩეხური „ბანიკია" ოსტრაველები თბილისში გუნინ ჩამოვიდა, გუნდამდე კი მეტოქე კლუბის დირექტორი ტომაშ ტრუხა გვეწვია. ვეტერნართა კლუბის წარმომადგენლებთან ერთად, ტრუხამ გუნინნინ მოინახულა ეროვნული სტადიონი, მერე კი გუნდისთვის სასტუმრო „რეფისონ ივერიანში" ნომრები დაჯავშნა და „ლელოსთან" საუბარზე თავაზიანად გვითხრა თანხმობა.

- უკვე ნახეთ ის სტადიონი, სადაც „ვიტ ჯორჯიასთან" პირველი თამაში მოგიწევთ. კმაყოფილი ხართ?

- ჩინებულია, მშვენიერი სტადიონია, საფეხბურთო პრიფილის არენაა. როგორც მითხრეს, ამ სტადიონზე თქვენი ქვეყნის ეროვნული ნაკრები თამაშობს, აქ თამაში ჩვენთვის დიდი პატივია... მეც მექნებოდა ერთი კითხვა...

- სიამოვნებით...

- ჩვენს თამაშზე უკ სტადიონი გაიავსება თუ ნახევრად?

- სანახევროდ გავსებაც კი საეჭვოა. „ბანიკი" სრული შემადგენლობით ჩამოვა?

- დიახ, ჩვენი გუნდის თავკაცი მრისლავ კუბეკი 22 ფეხბურთელს ჩამოიყვანს. ტრავმის გამო არავინ დაგვაკლდება.

- „ვიტ ჯორჯიას" რამდენად იცნობთ?

- ჩემგან განსხვავებით, მიროსლავ კუბეკს საკმაო ინფორმაცია აქვს ქართულ გუნდზე. ვერ გეტყვით, ვინ მოგვანდოდა, მაგრამ „ვიტ ჯორჯიას" მატჩების ვიდეოჩანაწერებიც გვაქვს.

- ეროვნული ჩემპიონატის მატჩები?

- ჩემპიონატის თამაშებიც გვაქვს და უკარნაშინ განვლილ მოსამზადებელ შეკრებაზე ვამარაფთ საკონტროლო მატჩების ვიდეოჩანაწერებიც.

- სანტეფსოა, ამ ვიდეოჩანაწერების ნახვის შემდეგ, რა თქვა მიროსლავ კუბეკმა მეტოქეზე?

- ახალგაზრდული, ტექნიკური გუნდი გვაყვი, სწრაფად თამაშობდა და თუ მეტოქეს ყურადღება მოიადუნა, შესაძლოა ძვირადაც დაუჯდეს. გუნდი, რომელმაც თასი მოიპოვა და ჩემპიონატში მეოთხე ადგილზე გავიდა, სუფტი მეტოქე ნამდვილად არ უნდა იყოს.

- კუბიკმა „ვიტ ჯორჯიას" ფეხბურთელები თუ გამოარჩია?

- ყველა სათამაშო რგოლში გყავთ გამორჩეული მოთამაშე, მაგრამ მათი გვარები არ ვიცი. აი, კუბიკს კი ყველაფერი მონიშნული აქვს.

- ოქვენს მწვრთნელს ქართული გუნდის რომელი სათამაშო რგოლი მოეწონა?

- შემტეკეი ტიპის ფეხბურთელები მოინიშნა. რა თქმა უნდა, კონკურზომგსაც მოიეგბს.

- ჩვენს გუნდზე საკმაო ინფორმაცია გქონთან. ბუნებრივია „ბანიკიც" იცით. ფავორიტად ვის მიიჩნევთ?

- იმედია არ მიწყებთ თუ ვიტყვი, რომ ამ ნყვილში ფავორიტი „ბანიკია". ჩვენ უკეთესი გუნდი გვყავს. ახლა მთავარია ეს უპირატესობა „ვიტ ჯორჯიასთან" ამ ორ მატჩის შედეგში ავსახოთ.

- თბილისში გამომგზავრებამდე კიდევ ერთი ქართული გუნდის, „ზესტაფონის" მეტოქე „დუკალს" გაეჯიბრეთ და 2:1 მოუგეთო...

- კარგი გუნდია. თუმცა შეგვეძლო ის მატჩი მეტი სხვაობითაც მოგვეგო.

- „დუკალზე" რას გვეტყვით?

- სწრაფ ფეხბურთს თამაშობს, ტექნიკურობით არა, მაგრამ ფიზიკური კონდიციებით კი გამორჩეული. ყველა რგოლში ჰყავს გამორჩეული მოთამაშეები.

- „ბანიკი" რომელი რგოლით გამორჩეულა?

- ჩვენ ყველა რგოლში თანაბრად დაბალანსებული გუნდი გვყავს.

- თბილისში რა შედეგი დაგაკმაყოფილებთ?

- კარგი იქნება თუ მატჩი უგოლოდ დასრულდება. იმედი მაქვს, არ ნაგაგებთ. თუ მარცხს მაინც ვერ აცცდით, მაშინ 1:2 ნაგებას ვისურვებდი. 1:2 ნაგება სჯობს 0:1 მარცხს. მჯერა ორი თამაშის ჯამში შედეგი ჩვენთვის სასურველი იქნება. არის ფაქტორები, რაც მესაძლოა ჩვენი გუნდისთვის ერთგვარ ბარიერადაც კი იქცეს.

- რას გულისხმობთ?

- პირველ რიგში, სტადიონი. ჩვენი გუნდი ისეთ დი არენაზე თამაშს ნაჩვეი არ არის. ამასთან თქვენი გუდუშმატკივარი და სიცხე. ჩვენთან მზეში 35 გრადუსი სიცხეა. თბილისში კი ეს ტემპერატურა ჩრდილშია. თუმცა იმედი მაქვს, საბოლოო შედეგი ლოგიკური იქნება და მომდევნო ეტაპზე ჩვენი გუნდი გავა.

დავით ცაბაძე

ფუტბალი-დუკალი

გელაშვილი მწყობრშია, დუკალს მეგოლე აკლია

სლოვაკეთი ფანეგით ჩამოვიდნენ

ქვეყნის ბრინჯაოს პრიზიორი „ზესტაფონი" ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე სლოვაკურ „დუკალასთან" დღეს პირველ მაჭრს გამართავს. ბანსკა-ბისტრიცას გუნდი გუნინ ჩარგტერული ავიარესით კოპიტნარის აეროპორტში ჩამოფრინდა. სლოვაკები ქუთაისში დაბინავდნენ, საღამოს კი ზესტაფონში, დავით აბაშიძის სახელობის სტადიონზე ივარჯიშეს. „დუკალ" 20 ფეხბურთელით ჩამოვიდა. გუნდის თაოვარ მწვრთნელ **მარკო კარროლის** ვანკარგუულებში შემდეგი ფეხბურთელები არიან:

მეკარეები: **პეტერ ბოროშა, იან დურრრა;**

მცველები: **იაკუბ ბრაშენი, პატრიკ ვაიდა, მარეკ პლინკა, მარიოოლიმეო გონოსი, მარტინ პაალოიკა, მატეუშ ტურნა, ოიზეფ ადამიკი, საშა სავირი;**

ნახევრმცველები: **ტომაშ ჭუჭკო, ვრატისლავ გაიდოში, მიხალ პანჩიკი, იაკუბ პოვაკანეკი, დალიბორ პლევა, პეტერ დურიცა;**

თავდამსხმელები: **რობერტ პიჩი, მიხალ ფილო, მიხალ დურინი, დუშან უშკოვიჩი.**

როგორც ხედავთ, „დუკალს" ამ ჩამონათვალში არ არის სნეიგაალეი თავდამსხმელი **მუჰამადუ სეიე.** ცნობისათვის, ზაფხულის მზადებისას გამართულ 9 საკონტროლო შეხვედრაში, სეიემ ყველაზე მეტი, 6 გოლი გაიტანა. სტუმრათა ამ შემადგენლობაში მოოლიდ ორი ისეთი ფეხბურთელია, რომლებიც ეროვნულ ნაკრებში ამ მამები - ნახევრმცველმა **მიხალ პანჩიკმა,** 4 წლის წინ, ერთხელ მოიჩვენა ეროვნულის მაისურა, ასაკოვანმა თავდამსხმელმა **დუშან უშკოვიჩმა** კი ორი მატჩი ჩაატარა ქეეყნის მთავარ გუნდში. სლოვაკების იმერეთში 22 გუფუმატკივარი ჩამოჰყვათ.

ახლა ჩვენს გუნდზე ვთქვათ. მშობლიურ არენაზე იეარჯიშა გუნინ „ზესტაფონმაც". **გია გეგუჩაძეს** სრული შემადგენლობა ჰყავს. იმერეთთა კლუბის პრესაბამე **სერგო ფუტკარაძის** ცნობით, უკვე გუნდთან ერთად სრული დატვირთვით ვარჯიშობს თავდამსმხელი **ნიკოლოზ გელაშვილი,** რომელსაც სურდი ჭეობდა.

დაბოოლო, დღეს „ზესტაფონი"-"დუკალს" მატჩი „დავით აბაშიძეზე" 20 საათზე დაინყება. თამაშზე დასასნრები ბილეთის ფასი 5 და 7 ლარია. შეხვედრას მოლდოველი მსაჯები გაუძღვებიან, არბიტრი ვიაჩესლავ ბარანი იქნება.

დავით ცაბაძე

საქართველოს ჩემპიონატი

XXII ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის კალენდარი. პროექტი

I წრე

I ტური

6 აგვისტო, პარასკევი

დინამო (თბილისი)- საარტაკი (ზესტაფონი)
ზესტაფონი (ზესტაფონი)- ტორპედო (ქუთაისი)
გაია (ზუგდიდი)- სიონი (ბორნისი)

7 აგვისტო, შაბათი

ოლიმპი (რუსთავი)- ვიტ ჯორჯია (თბილისი)
კოლხეთი (ფოთი)- საგარეჯოს (საგარეჯოს)

II ტური

14 აგვისტო, შაბათი

საარტაკი-საგარეჯოს
სიონი-კოლხეთი (ფ)
ტორპედო-ოლიმპი

15 აგვისტო, კვირა

ვიტ ჯორჯია-გაია
დინამო-ზესტაფონი

III ტური

20 აგვისტო, პარასკ.

გაია-ტორპედო
საგარეჯოს-სიონი
ზესტაფონი-საარტაკი

21 აგვისტო, შაბათი

ოლიმპი-დინამო
კოლხეთი (ფ)-ვიტ ჯორჯია

24-25 აგვისტო

დ. ჟიფიანის სახ. თასის 1/16 ფინალი

IV ტური

28 აგვისტო, შაბათი

დინამო-გაია
საარტაკი-სიონი

29 აგვისტო, კვირა

ზესტაფონი-ოლიმპი
ვიტ ჯორჯია-საგარეჯოს
ტორპედო-კოლხეთი (ფ)

V ტური

10 სექტემბ., პარას

საგარეჯოს-ტორპედო

11 სექტემბ., შაბათი

ოლიმპი-საარტაკი
გაია-ზესტაფონი
კოლხეთი (ფ)-დინამო
სიონი-ვიტ ჯორჯია

VI ტური

18 სექტემბ., შაბათი

საარტაკი-ვიტ ჯორჯია
დინამო-საგარეჯოს

19 სექტემბერი, კვირა

ოლიმპი-გაია
ტორპედო-სიონი
ზესტაფონი-კოლხეთი (ფ)

VII ტური

24 სექტემბ., პარასკ.

საგარეჯოს-ზესტაფონი
სიონი-დინამო თბილისი
ვიტ ჯორჯია-ტორპედო

25 სექტემბ., შაბათი

კოლხეთი (ფ)-ოლიმპი
გაია-საარტაკი

VIII ტური

28 სექტემბ., სამშაბ.

დინამო-ვიტ ჯორჯია
ზესტაფონი-სიონი

29 სექტემბ., ოთხშ.

საარტაკი-ტორპედო
ოლიმპი-საგარეჯოს
გაია-კოლხეთი (ფ)

IX ტური

2 ოქტომბერი, შაბათი

ვიტ ჯორჯია-ზესტაფონი

3 ოქტომბერი, კვირა

კოლხეთი (ფ)-საარტაკი
საგარეჯოს-გაია
სიონი-ოლიმპი
ტორპედო-დინამო

II წრე

X ტური

16 ოქტომბ., შაბათი

საარტაკი-დინამო
ტორპედო-ზესტაფონი
ვიტ ჯორჯია-ოლიმპი

17 ოქტომბერი, კვირა

სიონი-გაია
საგარეჯოს-კოლხეთი (ფ)

20 ოქტომბერი

სუპერთასი

XI ტური

23 ოქტომბ., შაბათი

საგარეჯოს-საარტაკი
კოლხეთი (ფ)-სიონი
ზესტაფონი-დინამო

24 ოქტომბერი, კვირა

გაია-ვიტ ჯორჯია
ოლიმპი-ტორპედო

XII ტური

30 ოქტომბ., შაბათი

დინამო-ოლიმპი
საარტაკი-ზესტაფონი
ტორპედო-გაია
ვიტ ჯორჯია-კოლხეთი (ფ)
სიონი-საგარეჯოს

3 ნოემბ., ოთხშაბათი

დ. ჟიფიანის სახ. თასის 1/8 ფინალის შეხვედრა

XIII ტური

7 ნოემბერი, კვირა

სიონი-საარტაკი
საგარეჯოს-ვიტ ჯორჯია
კოლხეთი (ფ)-ტორპედო
გაია-დინამო
ოლიმპი-ზესტაფონი

XIV ტური

13 ნოემბერი, შაბათი

საარტაკი-ოლიმპი
ზესტაფონი-გაია
დინამო-კოლხეთი (ფ)
ვიტ ჯორჯია-სიონი

14 ნოემბერი, კვირა

ტორპედო-საგარეჯოს

XV ტური

20 ნოემბერი, შაბათი

გაია-ოლიმპი
სიონი-ტორპედო

21 ნოემბერი, კვირა

საგარეჯოს-დინამო
კოლხეთი (ფ)-ზესტაფონი
ვიტ ჯორჯია-საარტაკი

XVI ტური

26 ნოემბ., პარასკევი

ზესტაფონი-საგარეჯოს

27 ნოემბერი, შაბათი

საარტაკი-გაია
ოლიმპი-კოლხეთი (ფ)
დინამო თბ.-სიონი
ტორპედო-ვიტ ჯორჯია

1 დეკემბ., ოთხშაბ.

დ. ჟიფიანის სახ. თასის 1/4 ფინალის შეხვედრა

XVII ტური

5 დეკემბერი, კვირა

ტორპედო-საარტაკი
ვიტ ჯორჯია-დინამო
სიონი-ზესტაფონი
საგარეჯოს-ოლიმპი
კოლხეთი (ფ)-გაია

XVIII ტური

11 დეკემბერი, შაბათი

საარტაკი-კოლხეთი (ფ)
გაია-საგარეჯოს
ოლიმპი-სიონი
ზესტაფონი-ვიტ ჯორჯია
დინამო თბილისი-ტორპედო

15 დეკემბერი, ოთხშ.

დ. ჟიფიანის სახ. თასის 1/4 ფინალის სანასალო მატჩები

ლიგბილი

ომარ თეთრაძე:

ჩემი ოჯრო ჩემთან

ხოჯავა და ნავალოვსკი ვოლგაში

ნიჟნი ნოვგოროროლი "ვოლგაში" კიდევ ორი ქართველი გადავიდა – **გიორგი ნავალოვსკი** და **გიორგი ხოჯავა**. "ვოლგას" ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, კლუბმა მათთან კონტრაქტის პირობები შეათანხმა და ხელშეკრულებაც გააფორმა.

„ნიჟნი ნოვგოროროს "ვოლგა" პრემიერლიგელი ფეხბურთელებით გაძლიერდა – მახაჩკალის "ანჟის" მცველი გიორგი ნავალოვსკი და ნახევარმცველი გიორგი ხოჯავა ამიერიდან ომარ თეთრაძის განკარგულებაში არიან... 2009 წლის მარტში ორივე ფეხბურთელმა რუსეთის მოქალაქეობა მიიღო, ამტომ, პირველ დივიზიონში ლეგიონერად არ ითვლებიან", - იუწყება „ვოლგას" პრესსამსახური.

გიორგი ნავალოვსკი ბოლო დროს აზერბაიჯანში, ბაქოს „ინტერში" გამოდიოდა და მის გაწვმპიოონებში დიდი წვლილიც შეიტანა. რუსეთის პრემიერლიგელი მახაჩკალის „ანჟის" პლეიმეიკერი გიორგი ხოჯავა კი ლიგის პლეიმეიკერებში ერთ-ერთი საუკეთესო ინდივიდუალური მაჩვენებლით გამოირჩეოდა: დრიბლიორებში მე-9 ადგილზე იმყოფებოდა და დაზარალებულ ფეხბურთელებში ლიდერობდა - მის ნინაალმდეგ თამაშის ნესი ყველაზე მეტად დაარღვიეს. ეს იმაზე მეტყველებდა, რომ ხოჯავას ნინააღმდეგ მცველებს თამაში უჭირდათ. და საერთოდ, 25 ნლის ქართველი პრემიერლიგაში თავს ურიგოდ არ გრძნობდა.

ომარ თეთრაძის მახაჩკალის „ანჟიში" გადასვლისთანავე გაჩნდა ინფორმაცია, რომ კლუბს ქართველი ლეგიონერებიც დატოვებდნენ. **ედიკ საჯაია** და **ოთარ მარცვალაძე** „ვოლგაში" იანვარში ჩაირიცხნენ, შემდეგ მთავარ მნერთნელად თეთრაძე დაინიშნა და რუსეთში ახალი ქართული „ბუდე" გაჩნდა.

ბევრმა არ იცის, რომ ნიჟნინოვგოროდელებმა ხოჯავა ზამთრის სატრანსფერო პერიოდში შეისყიდეს, მაგრამ ის მაინც „ანჟიში" დარჩა. ამ უცნაურ და გაუგებარ ტრანსფერზე "ლელომ" გულშემატკივარს ჯერ კიდევ 7 პირილს აცნობა. თეთრაძე „ვოლგაში" დანიშნული არ იყო, როდესაც „სპორტ-ექსპრესთან"ინტერვიუში გააშმილა: *„ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგამ" იანვარში „ანჟიდან" ხოჯავაც შეიძინა, მაგრამ საბოლოოდ, ის ნიჟნი ნოვგოროდში არ უნახავთ".*

როგორც ჩანს, თეთრაძის მიყვანილი ფეხბურთელებისადმი, „ანჟის" ხელმძღვანელობის დამოკიდებულება შეიცვალა, რაზეც თეთრაძემ (რომელიც თანამემამულეებს ყველგან იცავდა) უკმაყოფილება გამოხატა და პოსტი დატოვა. თუმცა, რას ნიშნავდა მაბაჩკალელთა მხრიდან ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელის, ხოჯავას პირველ ლიგაში გაშვება, ძნელი სათქმელია.

მეორე მხრივ, გაუგებარია თავად ფეხბურთელის გადაწყვეტილებაც, დაბრუნებულიყო ისევ პირველ ლიგაში, როდესაც რუსეთის ჩემპიონი ყაზანის „რუბინი" ინვევდა.

შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში „ანჟის" პრემიერლიგაში გადასვლაში შვიდი ქართველი ეხმარებოდა - **ედიკ საჯაია, კახა ალადაშვილი, გიორგი ნავალოვსკი, ზურაბ არზნიანი, გიორგი ხოჯავა, სანდრო იაშვილი** და **ოთარ მარცვალაძე**. ამჟამად, მათგან მახაჩკალში მხოლოდ ზურაბ არზნიანი დარჩა, თუმცა, "ანჟიში" ქართველები მაინც მრავლად არიან – არზიანის გარდა, ზამთარში მეკარე **ნუკრი რევიშვილი**, მცველი **დავით კვირკველია** და თავდასმსმელი **გიორგი ილურიძე** დაიმატეს.

მერაბ მამულაშვილი

თბილისი-პრაღა
ახალი მიმართულებები
კვირაში ექვსჯერ

ისარგებლეთ ფრენების გაზრდილი სიხშირით.ახლა შეგიძლიათ იმოგზაუროთ პრაღაში კვირაში ექვსჯერ და ისარგებლოთ ტრანზიტული რეისებით სხვადასხვა მიმართულებით. ავიაბილეთის საფასური ევროპაში — 220 ევროდან. დაგეგმეთ მოგზაურობა დღესვე და ისიამოვნეთ კომფორტული აერობუსით. დაჯავშნეთ თქვენი ბილეთი და ინფორმაციისათვის მიმართეთ 995 32 227941 ან info@czechairlines.ge.

ბილეთის ღირებულებაში მოსაკრებლები არ შედის.

www.czechairlines.com

CSA CZECH AIRLINES SKYTEAM

ტრანსფერი

ქეშლი და 40 სიგარეტი

ბაკალავრიატი ამბავი ყოფილა: **ეშლი კოული** ინგლისში ანენილ ცხოვრებას ესანეთში, მადრიდის „რეალში" გაურბის. 29 წლის ვარსკვლავს „სანტიაგო ბერნაბეუზე" ყოფილი მნერნენელი **ჯონ მოურინიო** ელოდება. მსოფლიოს ჩემპიონმა მეკარე **იკერ კასილასმა** თქვა:

„მადრიდში დაბრუნების შემდეგ კარგი ამბავი შეეგებეგე. მართალია, ჩვენი კლუბის ხალხთან ბევრი არ მილაპარაკია, მაგრამ გავიგე, რომ კოული ჩვენი გუნდის ნევრი ხდება და გამიხარდა. დარწმუნებული ვარ მისი მხრიდან ეს სწორი გადაწყვეტილებაა, როგორც პროფესიული, ასევე პირადი თვალსაზრისით".

თუ ვინმეს აღარ ახსოვს, მოკლედ შეეახსენებთ, რომ „ჩელსისა" და ინგლისის ნაკრების მარეხენა მცველი გაზაფხულზე სანდალის ცენტრში აღმოჩნდა. ტაბლოიდებმა გამოაჩინეს, რომ ის ცოლს, პოპვარსკვლავე **შერილ კოულს** ღალატობდა, შერილი კი ინგლისში ხალხს ისე უყვარს, რომ ეშლი რისხვის ობიექტი გახდა. ამის შემდეგ, გახმაურდა, რომ ნერვებზე მოშლილმა კოულმა მეგობრებს მესიჯი მისწერა, ინგლისში ცხოვრებას ვეღარ ვიტანო, რამაც მის ნინაალმდეგ ახალი ტალღა აეგორა. შეგახსენებთ აგრეთვე, რომ ეშლი კოული „ჩელსიმდე" „არსენალში" გამოდიოდა, საიდანაც ასევე სკანდალით ნამვიდა - გულშემატკივრის ანყენინა, რადგან გაირკვა, რომ კლუბის ზურგსუკან „ლურჯებთან" ჰქონდა მოლაპარაკებები, რაც ღალატად მიიჩნიეს.

კასლიანი: *„ინგლისში ცხოვრებისთვის თავის არიდება ის არის რაც, ეფიქრობ, მას აძლა ყველზე მეტად აინტერესებდა ალ, ასეთ დროს, რასაკვირველია, ყოფილ მნერნენელ მოურინიოსთან გადასვლა სწორია. ახლა ყველაზე უკეთ სწორედ მან იცის, რომ ფოზეს ხელმძღვანელობით ეს კლუბი წარმატებას მიაღწევს. ფოზეს ბევრჯერ დაუმტკიცებია, რომ ფეხბურთელებს ყოდა და შემდეგ მათი მსოფლიოში საუკეთესოებად ქცევა შეუძლია, თუმცა ეშლის შემთხვევა სხვაა. ის უკვე გახლავთ მსოფლიოში საუკეთესო მარხენა მცველი. ფოზე მას ძალიან კარგად იცნობს. „რეალს" რადაში რომ მოაბეჯდრა, ერთი ნამით არ გამკვირვებია".*

12 000 დოლარი ერთ ღამეში

ტაბლოიდებმა კი არც აცივეს, არც აცხელეს და გამოიკვლიეს, რომ ლოსანჯელესის რომელიღაც ღამის კლუბში კოულსა და **შონ რაიტ-ფილიპს** ერთ ღამეში 12 ათასი დოლარისა მოუსწენინთ. ამბავს ასეთი შეფასება მოჰყვა: *„მაშინ, როდესაც ინგლისელი ხალხი თავისი ნაკრების სამხრეთ აფრიკაში დამარცხებას კვლავ ძლიერ განიცდის, ფეხბურთელები, კოული და რაიტ-ფილიპი ქეიფობენ და თავს უფფლებას აძლევენ, რამდენიმე საათში 12 ათასი დოლარი გაისროლონ".*

აქ ერთი რამ არის დასაზუსტებელი, თუმცა მას შეფასებისთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს: კოული და რაიტ-ფილიპსი იმ ბარში რამდენიმე კი არა, 12 საათი მსხდარან, თუმცა 12 ათასის სასმელ-საჭმელი ოთხ საათში შეუჭამთათ. და კიდევ, ფეხბურთელები მარტონი არ იყვნენ, მათთან ერთად დროს ინგლისში ცნობილი სერიალის „ისტენდერების" მსახიობი და პოკერისტი **მაიკლ გრეკოც** ატარებდა. საინტერესოა, რომ ეს იმ დღეს მოხდა, როდესაც იოჰანესბურგში ესაანეთმა მუნდიალის ფინალში ჰოლანდია დაამარცხა. რად უნდა ლაპარაკი, რომ ვარსკვლავებს ძვირადღირებული მამშპანური ჰქონდათ შეკვეთილი და გარს სულ სექსუალური ქალები ეხვეოდნენ - სნორად ამის წერს კიდევ „სანი". საბოლოო კოულს ისიც კი დაუთვალეს, რომ იმ 12 საათის განმავლობაში 40 ღერი სიგარეტი მოსნია - ეს ვიღაც გადაწყვეტ ინგლისელ დამსეგნებელს უთქვამს, რომელიც თავადაც შორიახლოს ერთობოდა და პრემიერლიგელი ვარსკვლავების შემყურე თვალებს არ უჯერებდა.

„ისე იქცეოდნენ, გეგონება საზეიმოდ ქქონდათ საქმე, - თქვა ბრიტანელმა. - ეშლის ხომ სიგარეტის გარეშე ვერ დაინმაგდათ. ვფიქრობ, 40 ღერს მოსწევდა. რაღაც მომეჩვენა ერთად ორი ღერიც კი ჩაიდო. კოული და რაიტ-ფილიპი თავიანთი ოჯახის ძალიან კმაყოფილი ჩანდნენ".

მოდი, პირდაპირ ვთქვათ: ინგლისში პრესა ძალიან მკაცრია და ეს ეშლი კოულად დაკავშირებით კიდევ ერთხელ გამოჩნდა. დღეს, როდესაც გაირკვა, რომ ფეხბურთელი ცდილობს თავს ესპანეთში გაქცევით უშველოს, გამოქვეყნდა სტატია, რომ მას „ბრიტანელთათვის ყველაზე საძულველ ფეხბურთელს" ეეჩვე სკოლაში იტანდნენ, რაც მისი მასწავლებლების ოფიციალმა ჩანნერებმაც დაადასტურა. „სანმა" მიაკითხა სკოლას, სადაც მარეხენა მცველი 1993-ზ წლებში სწავლობდა და მოგვაალი ფეხბურთელის დახასიათებები ჩაიხედა. მოვიტანთო ციტატები:

„...უხეშია და ხალხს შეურაცხყოფას აყენებს, მასწავლებელს შეაგინა...

...დაეცადაღელ ძალადობის გამო. მასწავლებელმა ჩხუბის გამო გაკეკეთილიდან გააგდო...

...მუნებიათ დამანგრეველია. უაზრადღუბოა. ცდილობს ათასგვარი საქციელით კლასელებს თავი მოაწონოს..."

ზეემოთ მასნავლებლის გინება რომ ვახსენეთ, ეს ამბავი მაშინ მოხდა, როდესაც ეშლი 14 წლისა გახლდათ. ლაპარაკია რელიგიის მასწავლებელზე, რომელმაც კლასში საკოტროლოს ნიშნები მიიტანა. კოულმა მას ჰკითხა, შემთხვევით „ნულიანი" ხომ არ მიმიღიაო, რაზეც მასწავლებელმა მიუგო: *„დიახ, შენ მართალი ხარ".* ეს მასუხი რომ მოისმინა, კოულმა შეიგინა (ზოგადად). *„რა თქვი?"* - ჰკითხა გაოცებულმა მასწავლებელმა, რომელიც ყურებს არ უჯერებდა. ამ კითხვაზე კოული ნამოდგა, რაც თქვა, ის ზოგადი ვინება გაიმეორა, მერე მასნავლებელსაც შეაგინა და საკლასო ოთახი თვითნებურად დატოვა.

საინტერესოა კოულის ინგლისურის მასნავლებლის ჩანაწერები. ცხადია, ამ ჩანაწერების სრულად მოგანასან არ ვაპირებთ, მაგრამ მთავარ აზრს მოგახსენებთ: კოული ძალიან ზრუნავს თავისი ქუჩური ავტორიტეტის შენარჩუნებაზე და ეს ხელს უშლის სნავლაზე კონცენტრაციაში. ის ხშირად ქმაყოფილდება იმით, რასაც მიაღნია, რადგან დანარჩენი დრო ქუჩისთვის სჭირდება, ეს კი საკმარისი არ არის.

1996 წელს ეშლის ორი დღით აეკრძალეს სკოლაში მისვლა, რადგან მან სხვა მოსნავლესთან ჩიხუა.

აღსანიშნავია, რომ ეშლი კოულსა და მის ძმა **მეტოუს** დედა, **სიუ** - თეთრკანიანი ქალბატონი - მარტო ზრდიდა და მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ დანყებით კლასებში მას შვილს სულ უქებდნენ. და კიდევ, თუკი ეშლის ვინმე ყოველთვის აქებდა, ეს ფიზიკურტერის მასნავლებელი და ფეხბურთის მნერონელი გახლდნენ, თუმცა იმ პერიოდში, როდესაც მომავალ ფეხბურთელს ქუჩის ხუმტურები მოეძალა, ფეხბურთის მნერონელის ჩანაწერებშიც გაჩნდა საყვედური: დრო ამ ყმანვილმა ბუნებრივ მონაცემებზე დაყრდნობას თავი დაანებოს და ვარჯიშებზე მეტი ითვისოსო. 1994 ნელს ეშლი კოულს გაუმართალა და ფეხბურთის ასოციაციის პროგრამაში მოყვა. ამ პროგრამას ერქვა „დაოსტატებისათვის" და პატარა კოულმაც „არსენალში" დაიწყო ვარჯიში - სნორედ ის „არსენალში" რომელსაც შემდეგ „ჩელსიში" გაეკარა.

ისე, ინგლისური სიტყვა „ქუმი" ხომ იცით, რასაც ნიშნავს? ნაღდ ფუღს. ჰოდა, მაშინ „მეთოფეთა" ფანებმა კოულს „ქუმელ" შეარქვეს - ფუღის გულისთვის ბავშვობის კლუბი გაყიდო.

სხვათა შორის, ბავშვობაში, თურმე, ვიოლინოზეც უკრავდა...

ილია ბაბუნაშვილი

ეშლი კოული


დიდებულიდან კლოუნამდე...

სპორტ. აფრიკა 2010

კარგი და ცუდი მუნდიალზე

გუნდის საუკეთესო თამაში: გერმანიის მიერ არგენტინის ნაკრების მინსათან გასწორება 4:0. გერმანიის ნაკრებმა ითამაშა ბრწყინვალედ დაცვაში. ლიონეის გუნდი მეხივით ეცემოდა მეტოქეს კონტრშეტევებზე.

გუნდის ყველაზე ცუდი თამაში: ჩრდილოეთ კორეის ნაკრები პორტუგალიასთან მატჩში - 0:7.

